პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 57 (6122) 22 1978 წ. მარტი, ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ყველაზე მასობრივი

სტარტზე — რუსთაველები

# იღებენ ახალ ვალდებულებებს

წლევანდელი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისთვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისთვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად რესპუბლიკის საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, სასწავლებლების ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა და კოლექტივებმა საგრძნობლად გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი აიღეს.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ა. წ. 25 იანვრის დადგენილების — სოციალისტურ შეჯიბრებაში ფიზკულტურული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ — პასუხად ახალ ვალდებულებებს კისრულობენ საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები და ცალკეული კოლექტივები.

**თბილისის ოქტომბრის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ვალდებულებაში,** რომელიც კომკავშირის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი, აღნიშნულია, რომ ამ რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციები კისრულობენ საგრძნობლად გაზარდონ მშდ ნიშნოსნების, სპორტსმენ-თანრიგოსნების, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების რიცხვი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ფიზკულტურის სწავლებას დაწყებით კლასებში. მოზარდთა საერთო ფიზმომზადების დონის ამაღლებას, რასაც მიაღწევენ იმით, რომ ყველა დაწყებით კლასში ფიზკულტურის მასწავლებლებად მხოლოდ სპეციალისტები იმუშავებენ; დილის გამამხნევებელი ვარჯიშის გარეშე არ დარჩება არც ერთი მოსწავლე; ფიზიკურად სუსტი და ჯანმრთელობიდან სხვადასხვა გადახრის მქონე ბავშვებთან საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით რაიონის ყველა სკოლაში გაიხსნება სამკურნალო ფიზკულტურის ჯგუფები; ფართოდ გამოიყენებენ ფიზკულტურაში საშინაო დავალებების მიცემის მეთოდს და მის შესრულებაზე დააწესებენ სათანადო კონტროლს;

მე-2, მე-3, მე-5 საშუალო სკოლებში მოეწყობა სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები; მე-2, 23-ე და 38-ე სკოლებში — სპორტთამაშების მოედნები; მე-5, 23-ე, 29-ე, 32-ე, 34-ე და 36-ე სკოლებში კალათბურთის სწავლებისთვის დამონტაჟდება დასაწევი ფარები; პნევმატური იარაღით სასროლეთებს მოაწყობენ მე-3, 26-ე, 30-ე, 31-ე, და 32-ე სკოლებში. მე-4 და 26-ე საშუალო და სპორტსკოლასთან კი საკუთარი და საშეფო ორგანიზაციების ძალებით აიგება სასწავლო აუზები; განათლების განყოფილება სკოლებისთვის შეიძენს 70 ათასი მანეთის სპორტინვენტარს; რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლასთან მოეწყობა მოსკოვის 1980 წლის XXII ოლიმპიადისადმი მიძღვნილი სტენდი, რომელშიც ასახული იქნება რაიონის მოსწავლე-სპორტსმენთა მიღწევები...

**თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში** სოციალისტური ვალდებულებების განხილვასა და მიღებას მიუძღვნეს სპეციალური კრება, რომელზეც სიტყვებით გამოვიდნენ ტექნიკუმის დირექტორი ვ. კიკნაძე, აგრეთვე, ვ. სამსონაძე, გ. დობროვი, ლ. ჭანჩიბეილი...

ტექნიკუმელთა საერთო კრების მიერ აღებულ ვალდებულებაში ნათქვამია, რომ სოციალისტური შეჯიბრება ეწყობა სასწავლო ჯგუფებს, ციკლებსა და დეკანატებს შორის და მისი მიზანია დასწრებისა და აკადემიური მოსწრების დონის ზრდა; სპორტული სექციების აქტიურობის ამაღლება; მშდ კომპლექსის ოქროს სამკერდე ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმის კონსტიტუციის დღისთვის შესრულება; სასწავლო ოთახებში სანიმუშო წესრიგი და საერთო საცხოვრებელში „საუკეთესო ბინის" სახელისთვის ბრძოლაში წარმატება და სხვა.

ყველა ეს ხელს შეუწყობს მშრომელთა და მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმას საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომელიც მიმართული იქნება შრომის დისციპლინის, სწავლის მაჩვენებლების ამაღლებისკენ, უფრო ფართოდ გაიშლება ახალგაზრდობის პოლიტიკური და სამართლებრივი სწავლება, ამაღლდება სპორტული მაჩვენებლების დონე.







რუსთავის მიდამოებში გაზეთ „პრავდის" პრიზზე გამართულ მძლეოსანთა საქალაქო კროსში 700-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ასეთი მასობრივი შეჯიბრება აქაურებს ჯერ არ ახსოვთ. ასპარეზობის მიზანი იყო მეტალურგთა ქალაქში ამ მიმართებით გაწეული მუშაობის შემოწმება და შერჩევა ნაკრების კანდიდატებისა, რომლებიც რესპუბლიკურ ტურნირში ისპარეზებენ.

გოგონათა შორის 1000 მეტრზე რბენა მოიგო მ. კარალიოვამ (სპორტკლუბი „ფოლადი"), 2000 მეტრზე უძლიერესი იყო ლ. მახნიაშვილი (94-ე ტექნიკური სასწავლებელი), ხოლო ქალიშვილებში ამავე მანძილზე ი. თედეშვილმა (პოლიტექნიკური ტექნიკუმი) იმარჯვა. ქალთა ასპარეზობა ე. სუხოვამ (ქიმიური ბოჭკოს ქარხანა) მოიგო. 3000 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მივიდა ა. სულეიცკაია (ქალაქის საავადმყოფო).

ვაჟებში ასაკის მიხედვით სხვადასხვა დისტანციაზე ჩემპიონები გახდნენ: ვ. საპოჟნიკოვი და ვ. სუხიშვილი (ორივე — „ფოლადი"), ი. ბოდოიანი (№ 3 პროფტექსასწავლებელი), ი. შანოვალი („დინამო"), ა. კულიევი („ფოლადი") და ს. ბაზილჩუკი („დინამო").

ვეტერანებში იმარჯვა ზ. სართანიამ (ავტომატიკის ინსტიტუტი).

* * *

**სურათებზე: ვ. სუხიშვილი (მარჯვნივ) და ვ. საპოჟნიკოვი ფინიშთან; ვეტერანები დისტანციაზე; რბოლას ამთავრებს ლ. მახნიაშვილი.**

გ. გაბრიჭიძის ტექსტი და ფოტოები.

## ფარიკაობა

ჰამბურგი. საბჭოთა ხმლით მოფარიკავეთა ნაკრებმა ოლიმპიურ ჩემპიონ ვიქტორ კროვოპუსკოვის მეთაურობით გაიმარჯვა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში „ჰამბურგის ხმალი". საბჭოთა სპორტსმენებმა ყველა მეტოქე (პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, გფრ-ის, იტალიისა და ინგლისის ნაკრები გუნდები) დაამარცხეს.

II და III ადგილებზე არიან პოლონელი და რუმინელი მოფარიკავეები.

## ჭადრაკი

### ყველა შეხვედრა მოიგეს...

სევასტოპოლი, 21 მარტი. (დეპეშით). აქ რამდენიმე დღეა მიმდინარეობს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა გუნდური ჩემპიონატი. ტურნირში მონაწილეობენ (წილისყრით): ჩრდილოეთის ფლოტილიის, წყნარი ოკეანის ფლოტილიის, ლენინგრადის სამხედრო ოლქის, შავი ზღვის ფლოტილიის, კასპიის ფლოტილიის, ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო ბაზის, ბალტიის ფლოტილიისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდები. თითოეულ გუნდში 4 ვაჟი, თითო ქალი, ჭაბუკი და გოგონაა.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდში არიან (დაფების მიხედვით): დიდოსტატი ე. გუფელდი, ოსტატები რ. კორსუნსკი, ს. ჩეჩელიანი, ა. იზვოზჩიკოვი, საერთაშორისო ოსტატი ალა ჩაიკოვსკაია, ოსტატობის კანდიდატი ს. ლპუტიანი, ოსტატი ნინო გურიელი.

I ტურში ამიერკავკასიელებმა სძლიეს ჩრდილოეთის ფლოტილიის წარმომადგენლებს ანგარიშით 5,5:1,5. პარტიები მოიგეს გუფელდმა, კორსუნსკიმ, იზვოზჩიკოვმა, ჩაიკოვსკაიამ და გურიელმა. ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჩეჩელიანმა, დამარცხდა ლპუტიანი. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ბალტფლოტი — წყნარი ოკეანის ფლოტილია 5:2, ლენინგრადის სამხედრო ოლქი — ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო ბაზა 5:1, შავი ზღვის ფლოტილია — კასპიის ფლოტილია 5,5:1,5.

II ტურში ამიერკავკასიელებმა დიდი ანგარიშით (6:1) მოუგეს კასპიის ფლოტილიის გუნდს. ჩვენებიდან დამარცხდა კორსუნსკი, დანარჩენებმა გაიმარჯვეს.

ანგარიშით 3,5:3,5 დამთავრდა ლენინგრადის სამხედრო ოლქი — ბალტფლოტის და შავი ზღვის ფლოტილია — ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო ბაზის გუნდების მატჩები. ჩრდილოეთის ფლოტილიის კოლექტივმა სძლია წყნარი ოკეანის ფლოტილიას — 4:3.

III ტურში ბალტფლოტელებმა „მშრალი" ანგარიშით (7:0) დაამარცხეს შავი ზღვის ფლოტილიის მოჭადრაკეები. ამიერკავკასიელებმა და ლენინგრადის სამხედრო ოლქის გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით (6,5:0,5) მოუგეს წყნარი ოკეანის და ჩრდილოეთის ფლოტილიების კოლექტივებს. ჩვენი მოჭადრაკეებიდან მხოლოდ კორსუნსკი დასჯერდა ყაიმს, სხვებმა მოიგეს პარტიები. კასპიის მეზღვაურებმა სძლიეს ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო ბაზის გუნდს — 4,5:2,5.

IV ტურში ჩვენმა გუნდმა დაამარცხა ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო ბაზის ნაკრები — 6:1. წააგო იზვოზჩიკოვმა, სხვებმა გაიმარჯვეს. ბალტფლოტმა მოუგო კასპიის ფლოტილიას (5,5:1,5), ლენინგრადის სამხედრო ოლქმა — წყნარი ოკეანის ფლოტილიას (4:3). დაზავდნენ ჩრდილოეთისა და შავი ზღვის ფლოტილიის გუნდები — 3,5:3,5.

ამრიგად, ჩემპიონის სახელისთვის მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა (24 ქულა) და ბალტიის ფლოტილიის (21 ქულა) მოჭადრაკეთა შორის. ამიერკავკასიელებიდან ყველა შეხვედრა მოიგეს გუფელდმა, ჩაიკოვსკაიამ და გურიელმა.

ე. გუფელდი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

### ქომაგთა თხოვნით

ბუგოინოს (იუგოსლავია) დიდოსტატთა დიდი საერთაშორისო ტურნირის დამთავრებისას მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა, რომელმაც ბ. სპასკისთან I-II ადგილები გაიყო, საგანგებო პრიზი მიიღო „საუკეთესო ფინიშისთვის" — ბოლო შვიდ შეხვედრაში მან 6 ქულა მოაგროვა. კარპოვი და სპასკი დაჯილდოვდნენ ყველაზე მეტი მოგებისთვის (თითოეულმა 6 პარტიაში გაიმარჯვა). ი. ბალაშოვს გადაეცა პრიზი „საუკეთესო პარტიისთვის" (ინგლისელ ე. მაილსთან).

იუგოსლაველ გულშემატკივართა თხოვნით კარპოვი ეწვია ქალაქებს დრავარს, იაიცესა და კუპრესს, სადაც ერთდროული თამაშის სეანსები და პრეს-კონფერენციები მოეწყო.

ქალაქ მოსტარში მსოფლიო ჩემპიონი მონაწილეობდა ელვისებური თამაშის ტურნირში. მან 10 ქულით (13-დან) I ადგილი დაიკავა. მეორე იყო მ. ტალი — 9, მესამე — ბ. სპასკი — 8. ამ ტურნირში მათი მეტოქეები იყვნენ: ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), მ. ნაიდორფი (არგენტინა), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), რ. ბირნი (აშშ), ლ. პორტიში (უნგრეთი), ე. მაილსი, ი. ბალაშოვი და სხვები.

ბუენოს-აირესი. არგენტინის დედაქალაქში დაიწყო ბალახის ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა შორის. ასპარეზობა, რომელშიც 14 გუნდი მონაწილეობს, 18 მარტს უნდა გახსნილიყო, მაგრამ გადაუღებელი წვიმის გამო (რომელმაც მინდორი გააფუჭა), მეორე დღისთვის გადაიდო. მსოფლიო ჩემპიონი — ინდოეთის ჰოკეისტთა ნაკრები შეხვდა ბელგიის გუნდს. გაიმარჯვეს შვიდგზის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ინდოელმა სპორტსმენებმა — 1:0.

მსოფლიო პირველობის სხვა მატჩებშიც უფრო გამოცდილი კოლექტივების უპირატესობა მინიმალური იყო. ოლიმპიადა72-ის ჩემპიონებმა — გფრ-ის ჰოკეისტებმა კანადის გუნდთან შეხვედრაში ფინალურ სასტვენამდე 12 წუთით ადრე შეძლეს გამარჯვების გოლის გატანა — 4:3. ევროპის ექს-ჩემპიონებმა — ესპანელებმა მალაიზიის ნაკრებთან შეხვედრაში ერთადერთი გოლი თამაშის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე გაიტანეს.

გუნდები ორ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი: I ქვეჯგუფში ასპარეზობენ ინდოეთის, გფრ-ის, პოლონეთის, კანადის, ბელგიის, ავსტრიის, ინგლისის ნაკრებები; მეორეში — პაკისტანის, ჰოლანდიის, ესპანეთის, არგენტინის, მალაიზიის, ირლანდიის, იტალიის ნაკრები გუნდები. ქვეჯგუფებში თამაშები დამთავრდება 31 მარტს, ხოლო ფინალური შეხვედრები — 2 აპრილს.

## ტელეტაიპის ლენტიდან

ბრისბენი. 18 წლის სტუდენტი პოლ ნარაკოტი პირველი ავსტრალიელი სპრინტერია, რომელმაც 100 მ ზუსტად 10 წამში (ხელის ქრონომეტრით) დაფარა. ეს შედეგი, რომელიც 0,1 წამით ხჯობს „მწვანე კონტინენტის" უწინდელ მიღწევას ბრისბენში ავსტრალიის ჩემპიონატზე იქნა ნაჩვენები. აქ სულ 6 ეროვნული მიღწევა გაუმჯობესდა. ლ. იაცენკო 670 სმ სიგრძეზე გადახტა. ეს და ნარაკოტის რეკორდი ჯერჯერობით სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში. 18 წლის კ. გიბსმა 189 სმ, ხოლო 23 წლის გ. ვინდევერმა 220 სმ სიმაღლე გადალახა.

ატლანტა. ამერიკის ჯორჯიას შტატის დედაქალაქში არაჩვეულებრივი ასპარეზობა მოეწყო: ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მარათონულ რბენაში (42 კმ და 195 მ). ფინიშთან პირველი მივიდა 23 წლის კალიფორნიელი სპორტსმენი მ. კუსკი — 2:46.26. მეორე იყო ცნობილი უნგრელი მორბენალი შ. მონშპარტი, რომელიც გამარჯვებულს 5 წუთით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა მ. აგენფორტი (გდრ).

ვარშავა. მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა მხატვრულ ტანვარჯიშში, კიეველმა სტუდენტმა ირინა დერიუგინამ გაიმარჯვა პოლონეთის ქალაქ პოზნანში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის ტურნირში". ქვეყნის სამგზის ჩემპიონმა 28,55 ქულა დააგროვა. მან ნახევარი ქულით აჯობა უახლოეს მეტოქეს პოლონელ ტანმოვარჯიშეს რ. ურბანიკს. III ადგილზე გავიდა პოლონელი სპორტსმენი ს. სობკოვსკა — 27,95.

დერიუგინა პირველი იყო არა მარტო მრავალჭიდში, არამედ შეჯიბრების ყველა სახეობაში. ტურნირში მონაწილეობდნენ: ავსტრიის, უნგრეთის, გდრ-ის, ჰოლანდიის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, შვეიცარიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. (საკდეს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წესრიგი ყველგან და ყველაფერში

# წვრილმანიო, ვამბობთ, თორემ...

**გემოვნებით** გაფორმებულ მყუდრო დარბაზში სასიამოვნო სურნელი ტრიალებს. ელექტროქურაზე შემოდგმულ ქვაბებსა და ტაფებს ოხშივარი ასდის. მზრუნველი ადამიანის ხელი ეტყობა აქაურობას — იატაკი მოკრიალებულია, მაგიდები და სკამები — ლარივით ჩამწკრივებული, სამქროებსა და სათავსოებში სისუფთავე და წესრიგია, ვიტრინებში ფართო ასორტიმენტის კერძები გამოუფენიათ. იქვე ელეგანტურ სპორტულ კოსტიუმებში გამოწკეპილი გოგო-ბიჭები ჩარიგებულან და მენიუს ათვალიერებენ...

**ჩვენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის სასადილოს** სტუმრები ვართ. იგი თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტს ეკუთვნის. ვიტრინასთან ჩამწკრივებული გოგო-ბიჭები კი საქართველოს ნაკრების წევრები არიან — მძლეოსნები, ძალოსნები, მოფარიკავეები, მოცურავეები და წყალში მხტომელები, სულ 46 პერსპექტიული სპორტსმენი. მათს გარდა სასადილო (**გამგე კ. ნიქაბაძე, შეფ-მზარეული გ. ნიაძე**) საერთო საცხოვრებელში მობინადრე 200-მდე სტუდენტსაც ემსახურება.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში არსებული ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოსაფხვრელად უკანასკნელ წლებში გაჩაღებულმა შეურიგებელმა ბრძოლამ ბევრგან სასიკეთო შედეგები გამოიღო და ისინი სპორტსმენთა მომსახურების ობიექტებსაც, მათ შორის კვების პუნქტებსაც დაეტყო. აქვე უნდა ითქვას, რომ სპორტსმენის წარმატება-წარუმატებლობა ბევრადაა დამოკიდებული კვების რეჟიმის სწორ ორგანიზაციაზე, მეცნიერულად დასაბუთებული მოთხოვნების დაცვაზე. ხანგრძლივი, ინტენსიური ვარჯიშის შემდეგ დახარჯულ ენერგიას ხომ სრულფასოვანი აღდგენა სჭირდება. ყოველივე ეს ორმაგ პასუხისმგებლობას აკისრებს იმათ, ვისაც სპორტსმენთა კვების საქმე აბარია. ამ თვალსაზრისით ზემოხსენებული სასადილოს მუშაკებს ბევრს ვერაფერს ვუსაყვედურებთ, ოღონდ ესაა, ზოგჯერ ფერხდება ახალი, ხარისხიანი პროდუქტებით მომარაგება, არარეგულარულად შემოდის ბოსტნეული და ხილი.

**ახლა ფიზკულტურის ინსტიტუტის სასწავლო კორპუსის ბუფეტში** შევიხედოთ. პირველ რიგში თვალში გეცემათ აქ გამეფებული სისუფთავე, წესრიგი და მომსახურების მაღალი კულტურა, თუმცა, უმჯობესია ინსტიტუტის სპორტული ფაკულტეტის დეკანს გივი ნადირაშვილს მოვუსმინოთ:

— ჩვენს ბუფეტს კეთილსინდისიერი, ალალმართალი ადამიანები ემსახურებიან, ვერც პროდუქტების ხარისხსა და ასორტიმენტს დავემდურებით, ამიტომ აქაურობას „მუდმივი კლიენტები“ არ აკლია. ის კი არა, ხშირად ყველა მომხმარებელს ვერ აუდიან...

**ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს ტურისტული ბაზა „ვაკე“** ყოველწლიურად 25 ათასამდე სტუმარს მასპინძლობს. აქ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოდიან, ეს კი ერთიორად ზრდის ბაზის მესვეურთა პასუხისმგებლობას. ადამიანი, რომელიც დასასვენებლად გესტუმრება, მომსახურებით კმაყოფილი უნდა დარჩეს. ესეც არ იყოს, ქართული სტუმართმოყვარეობის მაღალ რეპუტაციას გაფრთხილება ხომ უნდა. ამ მხრივ „ვაკეს“ სასადილოში სასიკეთო ვერაფერი ვნახეთ. დაბალია კერძების ხარისხი, ღარიბია ასორტიმენტი, სასადილო მაგიდებზე არაა მდოგვი, სასმელი წყალი. არ იყო გამოტანილი ჩაის კოვზები და სასადილო დანები, საკმარისი რაოდენობით არა აქვთ ჭურჭელი, მისატანები, პროდუქტის დასამუშავებელი დაფები და სამზარეულო დანები. როცა საცალო ულუფის წონითი ნორმების სიზუსტის შემოწმება მოვინდომეთ, გამოირკვა, რომ სასადილოს ერთადერთი სასწორი მწყობრიდან იყო გამოსული. **შეფ-მზარეულმა ა. გაზაკაშვილმა** აღიარა: საცალო ულუფებს თვალზომით (?!) ვამზადებთ. სამზარეულოში დაზიანებულია ელექტროგაყვანილობა, რის გამოც ზოგიერთი მექანიკური დანადგარი მწყობრიდანაა გამოსული. ჭურჭლის სამრეცხაოში იშვიათად მოდის ცხელი წყალი, ჭურჭელი სარეცხი საშუალებების გამოუყენებლად ირეცხება, არაა დაცული უსაფრთხოების ტექნიკა, ყურადღება არ ექცევა ელექტროენერგიის ეკონომიას. ბუნებრივია, ეს „წვრილმანები“ უარყოფითად მოქმედებს მომსახურების საერთო დონეზე.

ბაზას სადილობისას ვეწვიეთ, მაგრამ რატომღაც **სასადილოს ბუფეტი (მებუფეტე ხ. სირაძე) დაკეტილი დაგვხვდა**. ვიტრინაში საქონელი უწესრიგოდ იყო გამოფენილი, ზოგიერთ მათგანზე ფასები არ ეწერა, არც სანიტარულ მდგომარეობას დაუტოვებია კარგი შთაბეჭდილება.

სანამ რეიდის მორიგ ობიექტს მივაშურებდით, ტურისტებს გავესაუბრეთ:

— სამხრეთში პირველად ვარ. ძალიან მომეწონა თქვენი რესპუბლიკა, თქვენი დედაქალაქი, გულღია და უბრალო ქართველ ხალხს რა დამავიწყებს, — გვითხრა ტალინელმა ექიმმა ოტას რეინმა, — მომსახურებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ „ვაკეს“ სასადილოს მესვეურთა მისამართით ორიოდე შენიშვნას მაინც ვიტყვი. უკვე მეხუთე დღეა აქ ვისვენებ და სულ ერთფეროვან კერძებს გვთავაზობენ, მწვანილი, ხილი და რძის ნაწარმი კი საერთოდ არ არის...

თითქმის იგივე აზრი გამოთქვეს კაუნასელმა ცოლ-ქმარმა ჩურბაკოვებმა, რიგელმა პედაგოგმა ლიდია ნესტერენკომ და სხვებმა.

**ტურისტული სასტუმრო „თბილისის ზღვა“ (დირექტორი ა. დვალი)** ამჟამად 150-ზე მეტ ადამიანს მასპინძლობს.

როგორი მდგომარეობაა სასტუმროს სასადილოში?

პირდაპირ ვიტყვით — არასახარბიელო!

მართალია, სასადილო დარბაზი გემოვნებითაა მოწყობილი, მაგრამ შემოწმების დროს მაგიდებზე არც მდოგვი აღმოჩნდა (მაშინ, როდესაც ჭურჭელს მდოგვის ფხვნილით რეცხავენ), არც სასმელი წყალი. გასული წლის ნოემბრამდე აქ რესტორანი იყო (აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი დიდძალი ტარა დღემდე არ გაუტანიათ) და ქეიფი ხშირად ღრეობასა და თავგასულობაში გადადიოდა, ამიტომ სასადილოდ გადააკეთეს და ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვაც აკრძალეს. მიუხედავად ამისა, სასადილოს II კატეგორიის ბუფეტში (**მებუფეტეები ნ. სტუდენიკინა და ზ. ყურაშვილი**) მიმდინარე წლის თებერვალში 184 ბოთლი არაყი გაიყიდა, თანაც I კატეგორიის ბუფეტებისთვის გათვალისწინებულ ფასებში. ეს საბუღალტრო აქტებიდან შევიტყვეთ, თორემ რეიდის დროს ბუფეტი დაკეტილი დაგვხვდა, ჭუჭყმოდებულ ვიტრინა-მაცივარში საქონელი საერთოდ არ ეწყო. წვიმიან ამინდში სამზარეულოში წყალი ჩამოდის, არ მუშაობს 60-ლიტრიანი ელექტროქვაბი, უმოქმედოდაა აგრეთვე, ჭურჭლის სარეცხი იმპორტული მანქანა და სხვა მექანიკური დანადგარი.

ბოლოს **სპორტსაზოგადოება „დინამოს“ დიღმის საწვრთნელი ბაზის სასადილოს (შეფ-მზარეული ა. აზარიაშვილი) ვესტუმრეთ**. პროდუქტებით მომარაგების მხრივ აქ ყველაფერი რიგზეა; რეგულარულად აქვთ ახალი ხორცი, თევზი, ბოსტნეული, ხილი, სხვადასხვა წვენები, ოღონდ ესაა, სამაცივრო დანადგარები აკლიათ, სასადილო დარბაზიც შესაკეთებელია.

რეიდის დროს ბაზაზე მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელები ვარჯიშობდნენ. ჩვენ გავესაუბრეთ გუნდის ექიმს ვლადიმერ მოზალიოვს, მივულოცეთ ესპანეთის „რეალ-ბეტისთან“ მოპოვებული გამარჯვება და ვთხოვეთ ორიოდე სიტყვა ეთქვა ბაზის სასადილოს შესახებ:

— პირდაპირ ვიტყვი: კვება შესანიშნავი გვქონდა, მიკვირს როგორ ახერხებს მარტოხელა მზარეული ასეთი გემრიელი და ყუათიანი კერძების ოპერატიულად მომზადებას. ასე რომ, ესპანელებთან მოპოვებულ წარმატებაში აზესალომ აზარიაშვილსაც მიუძღვის წვლილი. ამ სიტყვებს უბრალოდ, ვინმეს საამებლად როდი ვამბობ, ეს მთელი გუნდის აზრია და ჩვენც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

**სარეიდო ბრიგადა: ზ. ბასპარიანი, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი ინსპექტორი, ო. გელაშვილი, ე. გერიშვილი — „ლელოს“ კორესპონდენტები.**

# ტექნიკუმის პირველობაზე

**თბილისის** ინდუსტრიულ ტექნიკუმში რეგულარულად ტარდება საინტერესო სპორტული ღონისძიებები. ამას წინათ აქ გაიმართა სასწავლებლის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. საასპარეზოდ გამოვიდა 70-ზე მეტი სპორტსმენი. უნდა ითქვას, რომ ტექნიკუმის მოსწავლეთა შორის განსაკუთრებით პოპულარულია სპორტის ეს ეროვნული სახეობა, თუმცა წვრთნა-ვარჯიშის ნორმალური პირობები არ გააჩნიათ; არა აქვთ ჭიდაობის სპეციალური დარბაზი, განიცდიან საჭიდაო ლეიბებისა და ჩოხების ნაკლებობას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: გ. ოქრუაშვილმა, მ. მეშველიანმა, დ. მაირალოვმა, თ. გომელაურმა, ა. კიტორაშვილმა, ვ. ლოლიშვილმა, რ. ბოჭორიშვილმა და გ. კოხრეიძემ.

ზ. თათეიშვილი.

● ● ●

**ს უ რ ა თ ზ ე:** ერთ-ერთი ორთაბრძოლის მომენტი.

ი. იუნაევის ფოტო.



## ჭიდაობა

**გორის** ახალმა სპორტდარბაზმა სამ დღეს უმასპინძლა საქართველოს ჭაბუკთა პირველობის მონაწილეებს (349 სპორტსმენი) თავისუფალ ჭიდაობაში (მთავარი მსაჯი — სპორტის ოსტატი ე. კოშკაძე).

მართალია, წლევანდელი საქართველოს პირველობა ნაკრებს არ აკომპლექტებდა (საკავშირო პირველობაზე სპორტსაზოგადოებებს გაჰყავთ გუნდები), მაგრამ შეჯიბრება მაინც დაძაბული გამოდგა. გუნდური I ადგილი დაიკავა თბილისის ნაკრებმა, II ადგილი — კასპის რაიონმა, III — აჭარამ. სპეციალისტებმა დაასახელეს ყველაზე ტექნიკური მოჭიდავეები — თ. გოგიტიძე (აჭარა), ლ. გოგიბედაშვილი, გ. კაციტაძე, თ. იბაური (სამივე — თბილისი), გ. სამადაშვილი (გორი).

ნორჩი მოჭიდავეების საზეიმო პარადი დაამშვენა თბილისელი სპორტის ოსტატის ბ. პაპაშვილის თაოსნობამ — მან გამარჯვებულებს თავისივე ხელით დამზადებული მედლები გადასცა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: თ. გოგიტიძემ (აჭარა), გ. კაციტაძემ, ა. ოლქიაშვილმა (ორივე — თბილისი), თ. ახვლედიანმა (აჭარა), დ. კუხალეიშვილმა (თბილისი), ბ. ღვინჯილიამ (აფხაზეთი), ლ. სირაძემ (ქუთაისი), ლ. გოგიბედაშვილმა, ბ. მაისურაძემ (ორივე — თბილისი), ა. მაისურაძემ (რუსთავი), ზ. ენუქიძემ (ქუთაისი), დ. ნარმანიამ (აფხაზეთი).

ო. შოშიტაშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

● ● ●

**ორ დღეს** მიმდინარეობდა ახმეტის რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ჭიდაობა ძიუდოში. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ახმეტის I საშუალო სკოლის გუნდმა.

დაკომპლექტდა რაიონის მოსწავლეთა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ლენინგორში მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალურ შეჯიბრებაში.

გ. აბრამიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

● ● ●

**ჩატარდა** „განთიადის“ ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტრადიციული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში საწარმო დაწესებულებებისა და მაღაროთა სამმართველოების 8 გუნდი მონაწილეობდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვა ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს ნაკრებმა გუნდმა.

გ. ხარჯაძე,
(ჩვენი კორ.).

## [illegible]

### ✦ თბილისი

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა ქალაქის პირადი პირველობა კრივში ჭაბუკთა შორის (1961-62 წლებში დაბადებულები).

საასპარეზოდ გამოვიდა 78 მოკრივე. წონითი კატეგორიების მიხედვით დედაქალაქის ჩემპიონები გახდნენ: ვ. ფარიზიანი („ბურევესტნიკი“), ვ. როჟნოვი („სპარტაკი“), რ. ალოინი („დინამო“), თ. პატარიძე, დ. უსუბინი (ორივე — „სპარტაკი“), პ. ორთოლაშვილი, ე. ნაზარეთიანი (ორივე — „განთიადი“), ვ. მურადოვი („სპარტაკი“), ბ. იოსელიანი (განათლების განყოფილება), დ. ნანობაშვილი („დინამო“), დ. ნაცარაშვილი („სპარტაკი“), გ. ნემჩენკო („დინამო“), დ. ლაცაბიძე (განათლების განყოფილება).

გ. ამირხანოვი.

### ✦ ქუთაისი

სპორტკლუბ „კოლხიდას“ სპორტდარბაზში ერთ კვირას გრძელდებოდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური პირველობა, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობდა.

ქვეჯგუფებში შეჯიბრება წრიული სისტემით მიმდინარეობდა. დაუმარცხებლად იასპარეზეს და ფინალურ შეხვედრაში თამაშის უფლება მოიპოვეს თბილისის ინდუსტრიული და ქუთაისის სამთო ტექნიკუმების გუნდებმა.

ფინალურ შეხვედრაში ქუთაისის სამთო ტექნიკუმელებმა (დირექტორი რ. სვანაძე, მწვრთნელი ზ. ცაგარეიშვილი) გაიმარჯვეს — 64:62.

მესამე იყო თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის გუნდი.

ლ. ფაჩუაშვილი.
(ჩვენი კორ.).

### ✦ ჭიათურა

გაიმართა „განთიადის“ საქალაქო საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ძალოსნობაში. საასპარეზოდ გამოვიდა 8 ფიზკულტურული კოლექტივის გუნდი. I ადგილი მოიპოვა ახალი ითხვისის მაღაროს მუშა-ძალოსანთა ნაკრებმა, მეორე იყო ელექტრომექანიკური სახელოსნოს გუნდი, ხოლო მესამე — ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი.

* * *

ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ქალაქის მოსწავლეთა გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. I ადგილი ზედიზედ მეთხუთმეტედ (!) მოიპოვა რუსული საშუალო სკოლის კოლექტივმა, II და III ადგილებზე შესაბამისად 1-ლი და მე-5 საშუალო სკოლების ჩოგბურთელები გავიდნენ.

რ. თურმანიძე.

### ✦ სამხრეთ ოსეთი

ცხინვალში ჩატარდა სამხრეთ ოსეთის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი, რომელშიც 11 კაცი მონაწილეობდა. I-II ადგილები გაიყვეს პედინსტიტუტის სტუდენტმა რ. ქოზაევმა და ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლემ ს. ჯანაშვილმა — 8-8 ქულა. კოეფიციენტთა ცხრილით ჩემპიონის სახელი მიეკუთვნა ქოზაევს.

* * *

ცხინვალის მოშაშე ვაჟთა პირველობაში გაიმარჯვა გ. ქუძიევმა — 8 ქულა.

* * *

ლენინგორში ჩატარდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს გუნდური პირველობა ჭადრაკში. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ლენინგორის სატყეო მეურნეობის კოლექტივმა.

* * *

ზნაურის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ვაჟთა პირველობაში ჩემპიონის სახელისთვის 10 მოჭადრაკე იბრძოდა. კოეფიციენტთა ცხრილს უნდა გადაეწყვიტა ჩემპიონი სანაკოევი იქნებოდა თუ ფლიევი. I ადგილი სანაკოევს ხვდა წილად.

ვ. მელქოევი.

### ✦ გულრიფში

დამთავრდა გულრიფშის რაიონის მოსწავლეთა XXIV სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში. გოგონათა შორის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა დრანდის რუსული საშუალო სკოლის გუნდი, ხოლო ვაჟებში გულრიფშის საშუალო სკოლის კალათბურთელებმა იმარჯვეს.

ზ. ჯალალონია.

## [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კალათბურთი**

**სსრ კავშირის 45-ე ჩემპიონატის მესამე ეტაპი' I ტური**

# რა წყარო დაწყდეს...

...შეცდომა შეცდომას მოსდევს. თბილისელთა უშედეგო იერიში. ვალში არც „ქალგირისი" რჩება. ისევ თბილისელები და ისევ იკარგება ბურთი.

ჩემს გვერდით მჯდომმა კაცმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი, რაღაც ჩაილაპარაკა.

კვლავ ორმხრივი შეცდომები. არადა სასტარტო მღელვარებასაც ვერ დააბრალებ, მატჩის დაწყებიდან კარგა დრო გავიდა.

— ეს უკვე მეტისმეტია. — ცოტა არ იყოს გაღიზიანებული კილოთი წამოსცდა ჩემს მეზობელს. გამოველაპარაკე.

— „დინამოს" ყოველთვის ჰყავდა შესანიშნავი კალათბურთელები. მიდიოდნენ ვეტერანები, მაგრამ ნიჭიერი სპორტსმენი არასდროს დაჰკლებია ჩვენს გუნდს. სამწუხაროდ, ახალ სახეებს ვერ ვხედავ. სხვა რომ არაფერი, ბრინჯაოს პრიზიორს ასეთი თამაში არ ეკადრება... შენ რას იტყვი, ვლადიმერ? — გადაულაპარაკა ჩვენს წინ მჯდომს.

ვლადიმერ კონდრაშინს არაფერი უთქვამს...

ჯერ კიდევ არ გამქრალიყო ცსკასთან ლამაზი გამარჯვების შთაბეჭდილება და 45-ე საკალათბურთო ჩემპიონატის მესამე ეტაპის მოსკოვის ტურში თბილისის „დინამომ" ზედიზედ სამჯერ დასტოვა მოედანი დამარცხებულმა. ცსკა, „სპარტაკი", ბოლოს კი „ქალგირისი"...

ყველანაირი მარცხი საწყენია, მაგრამ როცა ვერც მეტოქე თამაშობს მაინცდამაინც კარგად და მაინც მარცხდები, დაკარგული ქულის დარდს სხვა უსიამო ფიქრებიც ეტმასნება.

მოსკოვის ტურის ამ მიმოხილვაში შეგნებულად ვუვლით გვერდს ცსკასთან და „სპარტაკთან" ორთაბრძოლებს. ამ შეხვედრების საბოლოო შედეგი ასე თუ ისე ობიექტურია და ამდენად რაიმე სერიოზულ პრეტენზიებსაც ვერ გაგვიჩენს (სხვათაშორის გუნდზე ამგვარი შეღავათით საუბარი უკვე თავისთავად არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ ასეთია ქართული კალათბურთის დღევანდელი პოტენცია და გინდა, არგინდა, ამ საზომით უნდა მიუდგე ყველაფერს).

მეორეც: დინამოელთა მთელი გულისყური „ქალგირისთან" მატჩისკენ იყო მიმართული. სავსებით სამართლიანადაც — გამარჯვების შემთხვევაში თბილისელები მშვიდად დაელოდებოდნენ ჩემპიონატის ბრინჯაოს ფინიშს. უთუოდ სწორად მოიქცნენ მწვრთნელებიც, როცა არმიელებთან ათწუთიანი დავის შემდეგ ხელი აიღეს ენერგიის უსარგებლო ხარჯვაზე და გუნდის რამდენიმე წამყვან კალათბურთელს დასვენების საშუალება მისცეს. მოსკოვის ტურის მესამე მატჩი „დინამოსათვის" მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

აქ შეიძლება შემედავონ და ცსკასთან თბილისში ნათამაშევი ბრწყინვალე მატჩი გაიხსენონ. კეთილი, მაგრამ მატჩიდან მატჩამდე ამგვარი თავგანწირული, საკუთარ შესაძლებლობებს ზღვარს იქით თამაში არცერთ კოლექტივს არ ძალუძს და ვერც „დინამოს" მოვთხოვთ.

წლევანდელ ჩემპიონატში ჩვენი გუნდის წარუმატებლობათა (ვგულისხმობთ წაგებულ მატჩებს) მიზეზი თითქმის ერთი და იგივეა. თბილისის „დინამოს" არც თუ ძნელად შესამჩნევი მოწყვლადი ადგილები აქვს და ნებისმიერი მარცხიც ჩვენს მეტოქეთა მიერ ამ სისუსტეების აღნუსხვისა და კარგად გამოყენების შედეგია: მატჩების უმეტესობას გუნდი ერთადერთი ცენტრალური თავდამსხმელით თამაშობს, კოლექტივში არ არის სამი და ოთხი თუ არა, ორი ხეირიანი გამთამაშებელი, რომელიც ამავე დროს შორი მანძილიდან ზუსტი ტყორცნებით ხელ-ფეხს გაუხსნიდა თავდამსხმელებს. ერთი დეტალი: „სპარტაკთან" მატჩში რამდენჯერაც კი შეისვენა თამაზ ჩიხლაძემ, იმდენჯერ მოედნის საკუთარი ნახევრიდან ბურთის გამოტანა პრობლემად ექცათ თბილისელებს. მეტოქე სწორედ ამ წუთებში მიმართავდა ხოლმე პრესინგს.

მესამე შეხვედრაში ყველაფერ ამას გუნდის ლიდერთა არა თუ სუსტი, შეიძლება ითქვას, ანტიკოლექტიური თამაშიც დაერთო, რაც სავსებით საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ საკმაოდ უხეიროდ მოთამაშე „ქალგირისს" მატჩი მოეგო.

შეიძლება ციფრების მოშველიებაც. გულდედავას ათი ტყორცნიდან სამი იყო ზუსტი (საუბარია შორი და საშუალო დისტანციიდან სროლაზე), მიხეილ ქორქია — ათიდან ორი, გრძელიძე — ექვსიდან არცერთი, თითოჯერ და ისიც უშედეგოდ სცადეს ბედი ბიჭიაშვილმა და პულავსკიმ. ჩხიკვაძეს არც ფარქვეშ და არც შორიდან საერთოდ არ უსროლია. ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი შედეგი აქვს ჩიხლაძეს — 10-დან 6. მატჩის პირველ ნახევარში სულ 6 ქულა მოაგროვა დერიუგინმა, საგულისხმოა, რომ ამაში ყველაზე ნაკლებად სწორედ თბილისელთა ცენტრია დამნაშავე. დერიუგინის უმოქმედობა ისევ და ისევ კოლექტივის, განსაკუთრებით კი მის ლიდერთა უნიათო თამაშის შედეგია.

ახლა დინამოელებს ერთი ქულაღა ჰყოფთ მდევრისაგან. „ქალგირისთან" მარცხმა მართლაც გაართულა საქმე. მაგრამ ეს პრობლემის ერთი მხარეა. უფრო ცუდი ის არის, რომ მოსკოვში ნათამაშევი სამი მატჩიდან ერთსაც ვერ გამოჰყოფ, რომ თქვა — დამარცხდა, მაგრამ კალათბურთი ითამაშაო.

გამამართლებელი მიზეზების ძებნა, სურვილის მიუხედავად, ამაო იქნება. მეტოქის მოედნის ფაქტორი სათვალავში ჩასაგდები არ არის — არც „ქალგირისი" თამაშობდა შინ და, ჩვეც არ იყოს, ცსკა-ს სპორტის სასახლის ტრიბუნაზე თბილისის „დინამოს" საკმარისზე მეტი ქომაგი ჰყავდა. უთუოდ მკრეხელობა იქნებოდა არბიტრებზე ავის თქმაც — ძალიან მინდა მკითხველი დამერწმუნოს, რომ მსაჯობა მართლაც ობიექტური იყო. ერთადერთი მცირე შენიშვნა იქნებ ტურის გამართვის ადგილის არჩევაზე შეიძლება ითქვას — კალათბურთელები ჰოკეისთვის განკუთვნილ ცივ დარბაზში, ზედ ყინულზე დაგებულ მოედანზე ასპარეზობდნენ. თუმცა, ეს ფაქტორიც, თქმა არ უნდა, თანაბრად უსიამო იყო ოთხივე კოლექტივისთვის. სხვათაშორის, ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა „სპარტაკმა". პირდაპირ შეშურდება კაცს, რა დინჯად, თანდათან და შეუპოვრად ვაჟკაცდება ლენინგრადელთა ეს ახალგაზრდა კოლექტივი. ნევისპირელთა მწვრთნელი არც ჩქარობს და რაც უფრო მთავარია, არც არავინ აჩქარებს. ამ გუნდში უკვე იგრძნობა ის ძალა, საბჭოთა კალათბურთის ოლიმპზე მდგომ ცსკა-ს დღეს თუ ხვალ როგორც ტოლსა და სწორს რომ აღუდგება წინ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს სატკივარს.

„დინამოს" ჯერ კიდევ მშვენიერი შესაძლებლობა აქვს წლეულსაც ბრინჯაოს პრიზიორი გახდეს. და მაინც, საფიქრებელია და ალბათ მეტსაც მოვიგებთ, თუ ბრჭყვიალა ლითონის ელვარებას ყოველგვარი ალტაცების გარეშე გავუსწორებთ თვალს.

ამ წერილის დასასრულს ისევ „დინამოს" იმ უცნობ გულშემატკივართან საუბარს მივუბრუნდები. გუნდს სტოვებდნენ მართლაცდა ბრწყინვალე კალათბურთელები, მაგრამ ყოველთვის მოდიოდა ცვლა, ახალგაზრდობა, რომელზეც იმთავითვე შეიძლებოდა დაყრდნობა. დღეს ეს კარგა გვარიანად დაწრეტილი მაცოცხლებელი წყარო მხოლოდ ქუთაისიდანღა მოწანწკარებს. არადა, ამაში ყველაზე ნაკლები ბრალი ისევ კალათბურთელებსა და „დინამოს" მწვრთნელებს მიუძღვით. უფრო სწორი იქნება, ჯერ რესპუბლიკაში არსებულ ასობით ჯგუფსა და ათობით „კვალიფიციურ" მწვრთნელს მოვთხოვოთ თითო ჭეშმარიტად პერსპექტიული კალათბურთელი მაინც და მხოლოდ ამის შემდეგ ვისაუბროთ ჩვენს პირველ გუნდზე.

ისე კი, სანამ გვიან არ არის, იქნებ მართლაც ღირდეს, კარგა ღონივრად შემოვკრათ განგაშის ზარებს?!

ი. ბერიაშვილი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

# სეზონი სამხრეთში იწყება

**ფეხბურთი**

## „ნეფთჩის" იმედები

„ნეფთჩიმ" მზადება იანვრის პირველ რიცხვებში დაიწყო. ამ დროს უფროსი მწვრთნელი გ. ბონდარენკო შვებულებაში იყო და ლენინგრადში იმყოფებოდა, გუნდი კი მის გარეშე შეუდგა დარბაზში ვარჯიშს. მას ხელმძღვანელობდნენ უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობით დარგში ალაჰვერდიევი, მწვრთნელები აბასოვი და აბდულაევი. ორივე მწვრთნელს ამ სეზონში ფაქტიურად დებიუტი ექნება. აბასოვმა მოსკოვში ეს-ეს არის დაამთავრა მწვრთნელთა უმაღლესი ორწლიანი სკოლა, აბდულაევს კი გულშემატკივრები იცნობენ როგორც კიროვაბადის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" თავდამსხმელს. იანვარში იგი მოსკოვში იმყოფებოდა მწვრთნელთა კურსებზე.

როგორც ალაჰვერდიევმა განაცხადა, „ნეფთჩის" შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. გუნდიდან წავიდა ძლიერი მეკარე რომენსკი, რომელიც ოჯახური პირობების გამო ოდესაში გადასახლდა და „ჩერნომორეცში" ითამაშებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალ სეზონში ძირითადი სიძნელეები 32 წლის მეკარე კრამარენკომ უნდა გადაიტანოს. მას, ეტყობა, ხანდახან შეცვლის 20 წლის მოროშნიკოვი, რომელზეც გუნდის ხელმძღვანელობა გარკვეულ იმედებს ამყარებს.

დაცვაში არსებითი ცვლილებები არ არის. აქ შეიძლება ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდეს ახალგაზრდა მცველი ლარიჩოვი, ნახევარდაცვაში პერსპექტიულად მიაჩნიათ გუნდში ახლად მიღებული ი. პონომარიოვი, თავდასხმაში — ი. ჯავადოვი.

გუნდის შარშანდელი მარცხი, როცა მან ძლივს შეინარჩუნა უმაღლეს ლიგაში გამოსვლის უფლება, ბევრი მიზეზით იყო გაპირობებული. ერთ-ერთი გახლდათ თავდასხმის სუსტი თამაში. აქ ძლიერად მხოლოდ ვეტერანი სმოლნიკოვი გამოდიოდა, რაც შეეხება მეორე ვეტერანს ბანიშევსკის, მას კარგად თამაში შეეძლო მხოლოდ ერთ ტაიმში და, როგორც წესი მწვრთნელსაც მხოლოდ მეორე ნახევარში გამოჰყავდა ხოლმე იგი. ბანიშევსკი ახლაც შეუპოვრად ემზადება სეზონისთვის, ისევე, როგორც თავდამსხმელები ალი-ზადე და ჯავადოვი. შარშან ძალზე უფერულად ითამაშა ე. აბასოვმა. თუ იგი პირველ ლიგაში ნამდვილი ბომბარდირი იყო, ეს თვისებები უმაღლეს ლიგაში ვერა და ვერ გამოავლინა. აბასოვი 28 წლისაა, გუნდის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი გადალახავს სიძნელეებს და მთელი ძალით დაიწყებს თამაშს.

იანვრის შუა რიცხვებიდან „ნეფთჩი" თამაშობდა ლენინგრადში, ტრადიციულ შეჯიბრებაში „ნედელიას" პრიზზე. აქ მან საკმაოდ კარგ შედეგს მიაღწია და 5 უკრაინულ გუნდთან, აგრეთვე, „ზენიტსა" და „ფახთაქორთან" ბრძოლაში მესამე ადგილზე გამოვიდა. შემდეგ „ნეფთჩიმ" განაგრძო მზადება სოხუმის ახლოს, ეშერის სპორტულ ბაზაზე. 6 თებერვალს გუნდი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, სადაც რამდენიმე საკონტროლო მატჩი გამართა, შეხვდა აზერბაიჯანის გუნდებს, რომლებიც რესპუბლიკის პირველობაზე თამაშობენ. გამართა, აგრეთვე, საკონტროლო მატჩი დუშანბეში ადგილობრივ „პამირთან".

ახალ სეზონში „ნეფთჩის" ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ შარშანდელი სიძნელეები დაძლეული იქნება.

## ცვლილებები მინიმალურია

ერევნის „არარატის" შარშანდელმა შედეგებმა ცხადია, ვერ დააკმაყოფილა გუნდის გულშემატკივრები. ბოლო ხანამდე ნათელი არ იყო შეინარჩუნებდა თუ არა გუნდი უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას. დაახლოებით ასეთივე სიტუაცია იყო 1976 წელსაც. ამიტომ ე. მარქაროვს გუნდის დატოვება მოუხდა. იგი ნ. გულიაევმა შეცვალა.

გულიაევი 63 წლისაა. 1932-47 წლებში თამაშობდა მოსკოვის რკინიგზელთა გუნდში, მოსკოვის „სპარტაკში", ლენინგრადის „ზენიტში", შემდეგ ისევ „სპარტაკში". სხვადასხვა წლებში წარმატებით წვრთნიდა მოსკოვის „სპარტაკს", მუშაობდა, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის ნაკრების მეორე მწვრთნელადაც. გულიაევის ხელმძღვანელობით „სპარტაკი" ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ერთხელ კი დაეუფლა თასს. გამოცდილი სპეციალისტი წარმატებით მუშაობდა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში ჯერ პირველ მწვრთნელად, შემდეგ — მეორედ.

„არარატმა" ჩემპიონატისთვის მზადება, როგორც ყოველთვის, წახკაძორში დაიწყო, ხოლო შემდეგ შავი ზღვის სანაპიროზე გაემგზავრა. აქ სომეხმა ფეხბურთელებმა რამდენიმე საკონტროლო თამაში გამართეს, შემდეგ კი შინ დაბრუნდნენ. თებერვლის ბოლო რიცხვებიდან „არარატი" კვლავ გაემგზავრა შავი ზღვის სანაპიროზე.

გასულ წელთან შედარებით გუნდში უმნიშვნელო ცვლილებებია.

გუნდის შემადგენლობაში აღარ არის ვეტერანი თავდამსხმელი ნ. პეტროსიანი.

მოგვყავს „არარატის" შემადგენლობა მინსკის „დინამოსთან" საკონტროლო მატჩში, რომელიც ფრედ (1:1) დამთავრდა: ოვსეპიანი (კაზარიანი), გევორქიანი, ფარსადანიანი, სარქისიანი, აზარიანი, ქერობიანი, ბონდარენკო, ოგანესიანი, ს. პეტროსიანი, ხაჩატრიანი, ხალაიჯიანი (აკიმიანი). ეს ფეხბურთელები მცირე გამონაკლისის გარდა ახალგაზრდობაა. „არარატმა" მიიღო რამდენიმე მოთამაშე „შირაკიდან" (ლენინაკანი), ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდიდან და სხვა კოლექტივებიდან. განმტკიცდა ის რგოლები, რომლებიც შარშან ნაკლებ საიმედოდ ითვლებოდა.

გუნდის ახალმა ხელმძღვანელობამ „არარატის" ფეხბურთელებს მიზნად დაუსახა ითამაშონ გაცილებით უკეთესად, ვიდრე შარშან, განსაკუთრებით — თავდასხმაში.







# რინგის მიღმა...

კრივი ყველაზე უფრო მამაკაცური სპორტია ყველა სახეობათა შორის, რადგან ალბათ მხოლოდ მას, ერთადერთს შემოუნახავს ვაჟკაცური ორთაბრძოლის პირველყოფილი შინაარსი.

რინგზე გამართული შერკინება მუდამ უცნაურად აღელვებს მაყურებელს, ხიბლავს მოკრივეთა სიმკვირცხლე, ძალა, მოქნილობა, გამბედაობა და ელეგანტურობა, მაგრამ ორთაბრძოლის დროს იშვიათად თუ გაახსენდება ვინმეს რამდენი შრომა, დაუღალავი ვარჯიში, ფიზიკური თუ ნერვიული დაძაბულობა იმალება ასეთი წარმტაცი სანახაობის მიღმა. ამ დროს ვერ ვამჩნევთ მწვრთნელებს, მათ, რომლებსაც მრავალი ღამე გაუთენებიათ თეთრად, უამრავი ოფლი დაუღვრიათ, მოსცდენიან ბევრ ამქვეყნიურ სიტკბოს, ოჯახს და ერთადერთ საქმედ სპორტისადმი სამსახური გაუხდიათ. ეს კეთილშობილი ადამიანები ყოველთვის რინგის მიღმა რჩებიან, ქვემოდან შესცქერიან თავიანთი აღზრდილების ბრძოლას და ალბათ არ მოიპოვება არც ერთი მაყურებელი, მათზე უკეთ რომ ხედავდეს შეხვედრის თუნდაც სულ უმნიშვნელო, „შეუიარაღებელი თვალისთვის" უჩინარ ნიუანსებს, მათზე მეტად რომ განიცდიდეს მოკრივის სიხარულსა თუ მწუხარებას.

ბევრი მღელვარება განგვაცდევინა ამასწინათ თბილისში ჩატარებულმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატმა კრივში და ეს ფოტოსურათებიც, ჩვენმა კორესპონდენტმა ჯემალ ქასრაძემ რომ შემოგვთავაზა, მწვრთნელთა ემოციებზე, მათ სიხარულსა თუ მწუხარებაზე მოგვითხრობს.

## ძალოსნობა

**მოსკოვში** დამთავრდა ძალოსანთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება მეგობრობის თასზე.

პირველ ქვემძიმე წონაში გაიმარჯვა ა. საიდულაევმა — 372,5 კილოგრამი, II ადგილზე გავიდა დ. ლი (აშშ) — 355 კგ, III — ნ. ილიადისი (საბერძნეთი) — 350.

მეორე ქვემძიმე წონაში შესანიშნავად ისპარეზა ი. ნიკიტინმა — 390 კგ. მისი მაჩვენებელი ორჭიდის ჯამში მსოფლიოს ახალი რეკორდია. II ადგილზე გავიდა კუბელი ა. ბლანკო, რომელიც გამარჯვებულს 25 კილოგრამით ჩამორჩა. III ადგილზეა პ. შოლარი (ჩეხოსლოვაკია) — 357,5.

პირველ მძიმე წონაში კარგად გამოვიდა ვ. სერდიუკოვი. მან დამატებით ცდაზე საკავშირო რეკორდი დაამყარა ატაცში — 178,5 კგ. ორჭიდში გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. ზაიცევმა. მისი მაჩვენებელია ორჭიდის ჯამში 397,5 კგ.

მეორე მძიმე წონაში ყველას აჯობა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორმა ა. ენალდიევმა — 425 კგ. დამატებით ცდაზე მან ვ. ალექსეევის მსოფლიო რეკორდს შეუტია, მაგრამ ამაოდ. II ადგილზე გავიდა გდრ-ის ძალოსანი პ. კეკსი — 362, 5 კგ, ხოლო III — ავსტრიელი ვ. ნერტნაგლი — 375,5 კგ.

ამრიგად, ათი წონითი კატეგორიიდან ცხრაში გამარჯვება საბჭოთა ძალოსნებს ხვდათ.

## ხელბურთი

**კაუნასში** დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. ბოლო დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი. მატჩის ბოლო წუთზე ვ. მახორინის მიერ გატანილმა გოლმა გამარჯვება მოუტანა სტუდენტებს — 29:28. ამ ტურში პირველად გაიმარჯვა თბილისის „ბურევესტნიკმა“, რომელმაც ძნელ ორთაბრძოლაში დაამარცხა რიგის „ცელტნიეკსი“ — 20:19. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „კუნცევო“ (მოსკოვი) — ასკ (ბაქო) 28:23, ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — ასკ (მინსკი) 31:20, „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — ასკ (ლვოვი) 23:21, „გრანიტასი“ (კაუნასი) — ასკ (კიევი) 20:14.

ჩემპიონატის მეორე წრე, რომელიც დაიწყება 4 აპრილს, ჩატარდება ორ ტურად — მინსკსა და კიევში, შემდეგ 28 აპრილს ზაპოროჟიეში გამოვლინდება ჩემპიონატის ფინალური ტურნირის 6 მონაწილე.

**მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ**

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საავ. ინსტ. მოსკ. | 10 | 1 | 0 | 351-254 | 21 |
| ცსკა | 9 | 1 | 1 | 320-250 | 19 |
| „კუნცევო“ | 8 | 0 | 3 | 275-247 | 16 |
| „ინდ. ინსტ. ზაპ. | 6 | 3 | 2 | 286-249 | 15 |
| „გრანიტასი“ | 5 | 2 | 4 | 263-253 | 12 |
| ასკ კიევი | 5 | 1 | 5 | 239-235 | 11 |
| „ალუმინსტროი“ | 4 | 1 | 6 | 240-271 | 9 |
| „ცელტნიეკსი“ | 3 | 2 | 6 | 248-256 | 8 |
| ასკ ლვოვი | 4 | 0 | 7 | 264-276 | 8 |
| „ბურევესტნიკი“ | 3 | 1 | 7 | 220-279 | 7 |
| ასკ მინსკი | 2 | 0 | 9 | 240-292 | 4 |
| ასკ ბაქო | 1 | 0 | 10 | 240-324 | 2 |



## უნგრეთის სპორტი

**უნგრეთში** სახალხო ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ფიზკულტურამ და სპორტმა არნახულ გაქანებას მიაღწია. თითქმის ყოველწლიურად აქ მწყობრში დგება ახალი სტადიონები, დარბაზები, აუზები... ყველა ეს ხელს უწყობს უნგრელი სპორტსმენების ოსტატობის ზრდას, თვალსაჩინო წარმატებებს, საერთაშორისო შეჯიბრებებში, სადაც უნგრელ მოცურავეებს, წყალბურთელებს, ფეხბურთელებს, მოფარიკავეებსა და სხვა სახეობების წარმომადგენლებს ბევრჯერ უსახელებიათ თავი.

ამას წინათ ქალაქ შოპრონში საექსპლოატაციოდ გადაეცა დახურული, ორიგინალური ფორმის საცურაო აუზი, რომლის ორ აბაზანაში ერთდროულად ცურვის 500 მოყვარულს შეუძლია მეცადინეობა.

ს უ რ ა თ ზ ე: ქ. შოპრონის ახალი აუზის საერთო ხედი.

საკდესის ფოტო.

### ნაკრებში შეიყვანეს

კიევი, 21 მარტი (დეპეშით). „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა დასკვნითს ტურებში შესანიშნავად ითამაშა მ. წერეთელმა, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა ს. ბახირევა, ი. ხასმინსკაია, ვ. არტამონოვა და ე. ტიტოვა. ნ. მელაშვილი დასკვნითს ტურში დაუზავდა ი. ოსტრის, რადგან ველარ ეწეოდა ნ. ტიტორენკოს, რომელიც მას ქულით უსწრებდა. ქ. მელაშვილი ამ ტურნირში წარუმატებლად გამოდიოდა. ფინიშზე მან ბახირევასთანაც წააგო, თუმცა ბოლო ტურში სძლია ხასმინსკაიას.

აი, საბოლოო შედეგები: ნ. ტიტორენკო (მოსკოვი) — 9 ქულა, ნ. მელაშვილი — 8, მ. წერეთელი — 6,5, ვ. არტამონოვა (კიევი) — 6, ს. ბახირევა (მოსკოვი) — 5, რ. კარასანე (ვილნიუსი), ი. ოსტრი (კიევი) — 4,5-4,5, ქ. მელაშვილი, ი. ტურაბინა (მინსკი) — 4-4, ე. ტიტოვა — 2,5, ი. ხასმინსკაია (ორივე — კიევი) — 1.

ნ. ტიტორენკო და ნ. მელაშვილი შეყვანილი არიან „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებ გუნდში.

**პ. არნშტეინი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

## ჭადრაკი

### არმიელთა ჩემპიონები

დამთავრდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი, რომელშიც 7 ოსტატი და 5 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა.

ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა დ. გედევანიშვილმა, რომელმაც, როგორც ი. ჩიქოვანმა, რ. კორსუნსკიმ და ს. ლპუტიანმა, 7,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ მას მოცილეებზე მეტი მოგებული პარტია აღმოაჩნდა.

იუნიორთა შორის ჩემპიონი გახდა გ. გრძელიშვილი — 11 ქულა 13-დან.

**ო. ალხანიშვილი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

## შაში

### დარჩა სამი ტური

რუსთავის საჭადრაკო-საშაშო კლუბში გრძელდება საქართველოს ვაჟთა პირველობა რუსულ შაშში. 15 მონაწილეს შორის არიან: სპორტის ოსტატები ა. ბერუაშვილი, ა. ნურულაევი, ს. პახლაჯიანი (სამივე — თბილისი), თ. ბარამიძე (ფოთი), რესპუბლიკის ჩემპიონი საერთაშორისო შაშში ახალგაზრდებს შორის, ოსტატობის კანდიდატი ა. გუბელიძე (ფოთი) და საქართველოს გასული წლის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ვ. გობოზოვი (ცხინვალი). ტურნირში თამაშობს ერთი გოგონა — ოსტატობის კანდიდატი ნინო ფაილოძე (ფოთი).

12 ტურის შემდეგ 9,5 ქულით ლიდერობს ნურულაევი. მან შვიდი შეხვედრა მოიგო და ხუთი ყაიმით დაამთავრა. ლიდერს ქულით ჩამორჩება ბერუაშვილი. ს. პახლაჯიანსა და ზ. ხოფერიას (ფოთი) 8-8 ქულა აქვთ, ვ. გობოზოვს და ა. გუბელიძეს — 7-7, თ. ბარამიძეს და ვ. გნიტეცკის (თბილისი) — 6,5-6,5. მოშაშე გოგონამ 4 ქულა მოაგროვა.

დარჩენილ სამ ტურში ა. ნურულაევი შეხვდება ს. პახლაჯიანს, ვ. გობოზოვს და ნ. მამაკოვს, ხოლო ა. ბერუაშვილის მეტოქეები არიან ვ. შუბინი, გ. ბალაშვილი და თ. რეხვიაშვილი.

**რ. ზაზრიძიძე.**
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.



ს უ რ ა თ ზ ე: რ. რეხვიაშვილისა (მარცხნივ) და ნ. ფაილოძის შეხვედრა.

ავტორის ფოტო.

* * *

### ლიდერობაც ამას ჰქვია

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს დედაქალაქის ქალთა პირველობა 64-უჯრიან შაშში. შეჯიბრებაში 12 მოშაშე მონაწილეობს, მათ შორის 4 ოსტატობის კანდიდატია.

7 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს საქართველოს ექს-ჩემპიონი ს. გიჯაშვილი, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. მას 2 ქულით ჩამორჩება მ. ლოლიშვილი, ნ. აგლაძესა და მ. ბაქრაძეს 4,5-4,5 ქულა აქვთ.

**შ. კოჩიევი,**
პირველობის მთავარი მსაჯი.

### ბრძოლა, რომელიც არ შედგება

ჰავანა, (საკდესი) ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც უყვართ სასურველი რეალობად გაასაღონ. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ისინიც, ამ დღეებში რომ გაჰყვირიან ორი მოკრივის, ორი მსოფლიო ჩემპიონის — კუბელი თეოფილო სტივენსონისა (მოყვარულთა შორის) და ამერიკელი ლეონ სპინქსის (პროფესიონალებში) მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ, ოღონდ ამ შეხვედრას არ შეიძლება ეწოდოს „მოსალოდნელი“, რადგან იგი უბრალოდ... არ შედგება. ცნობილი კუბელი ათლეტი არ აპირებს პროფესიულ რინგზე გამოსვლას.

ამის შესახებ განაცხადა კუბის კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა ვალდო სანტიაგომ, რომელმაც ნაწილობრივ გააქარწყლა ვენესუელის გაზეთ „ნასიონალის“ მტკიცება მსგავსი მატჩის გამართვის თაობაზე.

„კუბელ კრივის მოყვარულებს უფრო აწყობთ სტივენსონის მესამე მატჩი საბჭოთა მძიმეწონოსან იგორ ვისოცკისთან — მსოფლიოში ერთადერთ მოყვარულ მოკრივესთან, რომელმაც ორჯერ მოუგო თეოფილოს, — თქვა სანტიაგომ. — რაც შეეხება სტივენსონის სხვა გეგმებს, იგი დიდ იმედებს ამყარებს ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატზე და მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე“.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ სტივენსონი პირველად კი არ გამოაცხადეს პროფესიონალი მოკრივის მეტოქედ: წინათ ასევე „ხმამაღლა“ ლაპარაკობდნენ მუჰამედ ალისთან მისი შეხვედრის შესახებ...

**რედაქტორი ა. გასილაძე.**

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ოსგუდი — „კოსმოსში“

ნიუ იორკის „კოსმოსმა“ კიდევ ერთი კარგად ცნობილი ევროპელი თავდამსხმელი შეიძინა. ეს არის 30 წლის პიტერ ოსგუდი, რომელიც ადრე ინგლისის ნაკრებში გამოდიოდა. ბოლო ხანებში ვეტერანი მეორე ლიგის კლუბ „საუთჰემპტონში“ თამაშობდა.


ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
(აკ. წერეთლის პრ. № 2)

24 მარტს

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის თასზე
„დინამო“ (თბილისი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი)

დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთები გაიყიდება: ორგანიზაციებზე — 22 და 23 მარტს დილის 10 საათიდან; საერთო — 23, 24 მარტს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

ძალაშია 1977 წელს გაცემული ყველა საშვი.



3 ივნისს 12 საათზე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ეწყობა 1958 წლის კურსდამთავრებულებთან შეხვედრა.


### მხიარული ფანჯრით



უსიტყვოდ.

— ფეხზე რა მოგივიდა?
— მძიმე ფიგურა დამეცა!..

ნ. ქელეხსაშვილის ნახატები.


გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14 93-97-56; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07744